

აქციის დანართი N

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

„აქციის“ დასახელება : სილქ ტვ-ის პაკეტი "პრემიუმ+" გადასახდელის გარეშე

აქციის პირობები :

- წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "აქცია"), თბილისსა და რეგიონებში, ოპტიკური ინტერნეტისა და სატელევიზიო მომსახურების მიღების მსურველი პირები, ქსელში ჩართვიდან 2 თვის განმავლობაში მიიღებენ სილქ ტვ მომსახურების პაკეტს "პრემიუმ+" შესაბამისი გადასახდელის გარეშე.
- აქციაზე რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება 2021 წლის 30 ივნისიდან - 2021 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით.
- აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აბონენტის აქციაში ჩართვიდან 2 თვის ვადით.
- აქციის პირობით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება 2021 წლის 1 დეკემბრის ჩათვლით.
- აქცია ვრცელდება შემდეგ ფიზიკურ პირებზე:
 - თბილისსა და რეგიონებში, ოპტიკური ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების მიღების მსურველი პირები. ასევე სილქფონით მოსარგებლე აბონენტები, რომლებიც იმავე ანგარიშის ნომერზე იმატებენ ოპტიკურ ინტერნეტსა და ტვ-ის.
- თბილისსა და რეგიონებში, ოპტიკური ინტერნეტისა და სატელევიზიო მომსახურების მიღების მსურველი პირებისთვის, რომლებიც დარეგისტრირდებიან ორმაგი შეთავაზების ისეთ კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს სილქ ტვ მომსახურების პაკეტს "პრემიუმ+", აქციის ფარგლებში სილქ ტვ-ის პაკეტს "პრემიუმ+" მიიღებს შესაბამისი გადასახდელის გარეშე. ამასთან, აქციის ფარგლებში, ინტერნეტ მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ცალკე მდგომი ინტერნეტის (არა ორმაგი შეთავაზების ფარგლებში განსაზღვრული სპეციალური ფასით) პაკეტის შესაბამისი სტანდარტული ღირებულების ოდენობით.
- აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა დაიწყება აქციის პირობით რეგისტრირებული მომსახურებების ინსტალაციის დღიდან.
- აქციის ვადის ამოწურვის შემდეგ, აბონენტებს დაერიცხებათ ორმაგი შეთავაზების სტანდარტული ღირებულება.
- აქციით მოსარგებლე აბონენტებისთვის, არ იზღუდება აქციის მოქმედების პერიოდში სილქფონის დამატების/გაუქმების შესაძლებლობა
- აქციით მოსარგებლე აბონენტებისთვის, აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება დამატებითი სატელევიზიო წერტილის (დამატებითი STB) სტანდარტული ღირებულებით დამატების ან გაუქმების შესაძლებლობა.
- აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება ოპტიკური ინტერნეტ ან/და სილქ ტვ მომსახურებ(ებ)ის (ერთ-ერთის ან ორივე) დროებით შეჩერების შესაძლებლობა. დროებით შეჩერებისას მოქმედებს სტანდარტული პირობები. დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და დროებით შეჩერებული მომსახურებ(ებ)ის ჩართვისას, მოხდება აქციის განახლება თავდაპირველი ვადის ფარგლებში.
- 5.1. პუნქტში მითითებული აბონენტებისათვის, ოპტიკური ინტერნეტ ან სილქ ტვ (ერთ-ერთი ან ორივე) მომსახურების გაუქმება, გამოიწვევს აქციის გაუქმებას.

13. აქციის მოქმედების პერიოდში არ არის შეზღუდული სატარიფო გეგმის ცვლილება. სატარიფო გეგმის ცვლილებისას, აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და პაკეტის ცვლილების შემდეგ, ხელმეორედ აქციით გათვალისწინებული პაკეტის არჩევისას, მოხდება აქციის განახლება თავდაპირველი ვადის ფარგლებში.
14. აქციის პირობები არ არის თავსებადი შემდეგ აქციებთან: სილქ+ /სილქ+2, სილქნეტში დასაქმებულ პირებზე მოქმედ ფასდაკლებასთან, ახალი ლოკაციების აქციასთან, 30% ფასდაკლება ცალკე მდგომი ინტერნეტისა და ორმაგი შეთავაზებების სააბონენტო გადასახდელზე, შეთავაზება შენი ოთხეული.
15. აქციაში ჩართულ აბონენტს ძველ მისამართზე გააქტიურებული აქცია ახალ მისამართზე არ გადაყვება.
16. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული, აბონენტს აქვს უფლება მოითხოვოს აქციის პირობებით რეგისტრაცია. აქციის პირობებით სარგებლობისთვის, მომსახურებ(ებ)ის ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში.
17. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებისას/რეინსტალაციისას, მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული, აბონენტს აქვს უფლება მოითხოვოს აქციის პირობებით რეგისტრაცია. აქციის პირობებით სარგებლობისთვის, მომსახურებ(ებ)ის ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში.

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____